სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაურო ქარვასლა

ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციას დილის 10 8 საათამდე და საღამოს 6—7 ვინ „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.

ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.

პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ დღე.

ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეორეზე—5 კ.

Типографія и Редакція „Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 339

წლის დამლევამდე
გაზეთი „ცნობის ფურცელი"
ეღირება 3 მან. 50 კაპ.

!!მიაქციეთ ყურადღება!!

ჩინეთის მაღაზია
დ. ფ. დემენტიევისა
გოლოვინის პროსპექტი, ზუბალაშვილის სახლი სობოროს გვერდზე.
იმპერატორის ჩაი პირველი მოკრეფისა 1898 წლისა
მშვენიერი ყნოსვისა და სასიამოვნო გემოსი
ჩაი და ყავა იყიდება წვრილად და პარტიობით
ყოველს მყიდველს ჩვენის ჩაისას დაეთმობა მანათზე აბაზი და საჩუქრად მიიღებს ჩინეთის, იაპონიის და სხვა საპირო და საოჯახო ნივთს.

ვინც 12 ან მეტ გირვანქა ჩაის იყიდის ჩვენგან იმას
საჩუქრად მიეცემა ჩაის სერვიზი
იქვე მრავალგვარი ჩინეთის და იაპონეთის ნივთებია
საჩუქრებისა და ნობათებისათვის
[illegible] ში, ეკატერინოდარში, ხარკოვში, ეკატერინოსლავში პიატიგორსკში და ტფილისში

!!მიაქციეთ ყურადღება!!
(100—33)

სამკურნალო და სასარგებლო დასალევი




ქეფირი და კუმისი




ერთად ერთი ქარხანა, რომელიც არსებობს 1887 წ.
მოწონებული სამკურნალო უწყებისაგან და მენდლით დაჯილდოვებული ორს გამოფენაზე.
იყიდება მხ ოლოდ ღ. კორონასთან ლორის-მელიქოვის ქუჩაზე ზუბალოვის სახლებში აფიცერთა საეკონომიო საზოგადოების წევრთათვის და მოწაფეთათვის, ფასი დაკლებულია.
(100—26) ღ. კორონა.

დაიბეჭდა და გაისყიდება
ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.
თხზულებანი
ა. ს. პუშკინისა
ავტორის პორტრეტით და ბიოგრაფიით
ფასი 50 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება
ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებსა და ეკკლესიებშიაც
ცხოვრება წმ. ქალწულ მოწამის
მარინესი
მეორედ გამოცემული მორჩილის რაჟდენ ბარამამისა.
ფასი ერთი შაური. (10—4)

ექიმი
ქ. მ. ჩიქოვანი
ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 11—12-მდე და საღამოს 7—8 საათ.
მიხეილის ქუჩა, № 16.
Докторъ К. М. Чиковани
Михайлов., № 16.

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. ქ. გერრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოზანი.
თვალების ავადმყოფობას—ი. ქ. ვარშავსკი.
ამბულატორიასთან არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟის თვის.
სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თოფურია
Лѣчебница В. С. Топурія въ Кутаисѣ.

# ახალი ამბავი

*** **ღ. აბაშა** (სამეგრელო) საზოგადო სასწორის შემოღება აბრეშუმისთვის. ხალხს თავისი სურვილი შეუსრულდა: ბ. გუბერნატორის განკარგულებით ჩვენს დაბაში ყანთრის სასწორი დაარსდა აბრეშუმის საწონავათ. ამწონელთ თორმეტამდის კეთილ-სინიდისიერი კაცი უსასყიდლოთ დადგნენ; მათი აწონილი პარკი კვიტანციით, თუ რამდენს იწონის, შეუძლია ყველა მყიდველმა იყიდოს; მხოლოდ ფასი ჯერ სულ არ აქვს და აბრეშუმიც ბევრით ნაკლებია წრეულს შარშანდელზე.

— რამ დასცა აბრეშუმის საქმე ჩვენში. ეს ნაკლებობა, როგორც წინა წერილში ვწერდით იმის ბრალია, რომ ათასობით დაალაგეს ყველა მედუქნეებმა თავიანთ მაღაზიაში თესლის კოლოფები და ძრიელის ქებით ყველა გაასაღეს. ამ უზომო ქებით და რომ გვეგონა პატიოსანი პირების წყალობით ერთი კარობკის მაგიერ ორი და სამი წაიღო თითო ოჯახმა, რისთვისაც აუწერელი ტანჯვა და ჯაფა გამოიარა ფურცლის უშოვნელობით თუ მოვლით და ბოლოს ზარალის მეტი ვერა ნახა რა! ამ მოტყუებით არც ერთი მასწავლებელიც ჩამორჩა ნავსაკლიდან სხვას უკან, ასობით ვიღაც უხეირო ფირმის თესლი გაასაღა დაჯერებით, ერთს მ[illegible] არა მაქვს სხვა ყველა წილესო. როგორც ზემოთ ვსთქვით მოსავალი ვერაფერი საქებია და მოსულიც უხეირო და ულაზათო შეიქმნა.

ცრუპენტელა გაიძვერა სომხებმა და ბერძნებმა ისეთი ხმა დააგდეს, რომ ვითომ ამწონავი იმიტომ დაუნიშნა მთავრობამ ხალხს, რომ შეიტყოს, თუ რამდენი შემოდის აბრეშუმი და გადასახადი დაადოსო, ასე რომ ყველა დღეს ამის კითხვაშია მართლა ასე იქნება თუ არაო; იმედია ვისიც ჯერ არის კიდევ ჩააგონებს ხალხს, რომ ეს ყველა ტყუილია კომისიის წყალობით პარკს კარგი ხარისხისას ჯერ-ჯერობით გირვანქას შვიდ შაურად ყიდულობენ და ახლა ღმერთმა იცის. ამას იქით მაინც ეცდება ხალხი, რომ რომელიმე ამხანაგობის შემოწმებული და სალი თესლი შეიძინოს, რომ შემდეგში სეთ ზარალს და ტყუილა ჯაფას ასცილდეს.

ბან—დონ

*** **თელავი.** წლიური აქტი და პუშკინის დღე წმ. ნინოს სასწავლებელში. 17 მაისს თელავის წმინდა ნინოს ზავედენიეში დანიშნული იყო წლიური აქტი და პუშკინის დილა. დარბაზი სადაც იყო დანიშნული აქტი, მშვენივრად

იყო მორთული ყვავილებით და მწვანე ფოთლებით, დარბაზი კარგა მოზრდილი მაღალ თვლიანი და განიერია. 11 საათიდან დილმა ხალხმა დაიწყო დენა და 12 საათამდის მთელი ეს დარბაზი სავსე იყო ხალხით, მერე კიდევ იმდენი მოვიდნენ, რომ კარიდორში და აივანზე იდგნენ, რადგანაც დარბაზში ადგილი არ იყო. აქტი დაიწყო პარაკლისით, რომელიც შეასრულა დეკანოზმა ზედაშვილმა და რომლის დროსაც გალობდა სასწავლებლის ქალთა გუნდი. ამის შემდეგ წაიკითხა ბიოგრაფია პუშკინისა მასწავლებელმა ქალმა ელ. შიუკოვისამ, მერე მოსწავლე ქალებმა დაიწყეს კითხვა პუშკინის ლექსებისა. მშვენივრად წაიკითხეს: ხუნდაძისამ „Кочубей въ Темниц“, კამუშაძისამ „Петер-ргъ“, იაშვილისამ „Москва“, უზნაძისამ „Гонецъ“ და ხითაროვამ „Вурдалакъ“. შემდეგ ქალთა გუნდმა იმღერა პუშკინიდამ რამდენიმე ლექსი, აქვე უკრავდა ორკესტრი სხვა და სხვა „მარშებს“, რომლებსაც ასრულებდნენ სამოქ. სასწ. შეგირდები, საზოგადოებას ძრიელ მოეწონა.

მერე მასწავლებელმა ზუბკოვმა წაიკითხა ზავედენიის წლიური ანგარიში და შემოსავალ-გასავალი. ბოლოს მისგანვე წაკითხულ იქმნა სია იმ მოსწავლეებისა, ვინც გადაყვანილ იყვნენ შემდეგ კლასებში, საუკეთესო სწავლისათვის მიიღეს „ქების ფურცელი“ შემდეგმა ქალებმა: 1) მეორე განყოფილებისამ: ვაჩნაძისამ, მატილოვამ, ლუკავსკისამ, ოგანოვმა და ჩოლოყაშვილისამ, საჩუქარი პირველი ხარისხისა. 2) მესამე განყოფილებისამ: ჯანდიერისამ და ყიასოვისამ საჩუქარი პირველი ხარისხისა. II კლასიდამ: საყვარლიძისამ.

III კლასიდამ: ელ. აბელოვისამ, ნ. ალნიეეისამ, მ. პაატოვისამ და ე. სიდომონოვისამ. მეოთხე კლასში წელს გაათავეს 11-მა ქალმა, ეროვნებით: ქართველი 8, სომეხი 3. სარწმუნოებით: მართლმადიდებელნი 8. და სომეხ-გრიგორიანცი 3. საუკეთესო სწავლისათვის მიიღეს პირველი ხარისხის საჩუქარი და ქების ფურცლები მეოთხე კლასის შემდეგ მოსწავლეებმა: ეკ. ნასიძისამ, თ. ჯანდიერისამ, თ. წინამძღვაროვისამ დ. მიკირტუმოვისამ. ყოველ წელიწადს მეოთხე კლასიდამ საუკეთესო სწავლისთვის ჰგზავნიან თითო ქალს, სახელმწიფოთ ტფილისის წმ. ნინოს ზავედენიაში. წელსაც მეოთხე კლასიდამ საუკეთესო სწავლისათვის გაგზავნეს თ. ჯანდიერისა. ამ სიის წაკითხვის შემდეგ ქალთა გუნდმა იმღერა „ღმერთო დაიცავ მეფე“. და ამით გათავდა აქტი. აქტმა და პუშკინის დილამ საზოგადოდ მხიარულად ჩაიარა და გათავდა $1^{1}/_{2}$ საათზე.

თ—ი.

*** **ს. ქარელი.** (ქართლი) **მებორნეების უწესობა.** თქვენ დალოცვილებო, კაცს გაჭირებაში ხელი უნდა მოუმართოთ თუ უნდა შეუცაროთ. მოსწრებაზეა მაშ.. მებორნენ რომ ურმის გასატანში ერთი ოთხათ ფულით წაართვას ანუ რვა აბაზი, შესაძლებელია? ჰმ, თუმცა შესაძლებელია, რომ გამოგართვათ, მაგრამ რად!' ან რისთვის? მოსწრებაზეა!'—სასურველია ბოქაულმა ან ამორჩეულმა პირმა ვინმემ მიაქციოს ყურადღება, თორემ დღეს რვა აბაზი, ხვალ ორი მანათი და ზეგ ხუთი და ხუთად კი ურემს არ ვიყიდი. არ ვიცი დაბრიყვებაზე იყო მომზადარი ეს ერთი საქმე თუ სულ ეგრეა, მე როგორც ვნახე აგერ გარდმოგეცით. მგონია რომ სხვაზედაც ეგრეა—თუ ნაცნობი არ არის.

ფშალო

*** **ს. საჭილაო.** (სამეგრელო) **დავა სამარხზედ.** სოფელი საჭილაო მდებარეობს მდინარე ცხენის წყლის პირად, და მდინარე ცხენის წყალი ამ სოფელს ჰყოფს ორ ნაწილად, გაღმა საჭილაოდ და გამოღმა საჭილაოდ. გაღმა ცხოვრობენ აზნაურნი გვარათ კორძაიები, და გამოღმა გვარად გრიგოლიები, აი ამ უკანასკნელთა გვართა შორის არის სამარხზედ ცილობა და დავა. ეს გვარი განიყოფება ორ ჯგუფად, ერთ ჯგუფს წინ აღუდგებიან მეორე ჯგუფი, ყოველ მიცვალებულის დამარხვის დროს, ერთ ჩხუბს და აყალ-მაყალს უწევენ მიცვალებულის ჭირისუფლებს, რომლის მაგალითს მე თვითონ დავესწარი. წარსულს კვირას გარდაიცვალა, აქ, აზ. თომა გრიგოლია, რომელსაც ცოლშვილი არ დარჩენია და ჭირისუფლის მოვალეობას ასრულებდა, აწ უკვე განსვენებულის როტმისტრის ქვრივი რძალი თომასი ფოტინე ნიჟარაძის ასული გრიგოლიასი. როდესაც მიცვალებული წმიდის გიორგის ეკკლესიაზედ მიასვენეს, და მღვდლები წირვას შეუდგნენ, მესაფლავეები საფლავის გაჭრას შეუდგნენ. მაშინ მოწინააღმდეგე ვაჟბატონებმა ბარი და ნიჩაფი გადაუგდეს და დაიწყეს ჩვეულებრივ ძალ-მომრეობა; როგორ თუ თქვენ მიცვალებულს აქ მარხავთ, ეს სამარხი ჩვენია და არა თქვენიო! ყველა მზათ იყვნენ ერთმანეთისთვის თავპირი დაემტვრიათ თუ ქვრივი ქალი ფოტინი ნიჟარაძის ასული არ გამობრძანებულიყო და იმ ვაჟბატონებისათვის არ აედვა ლაგამი. კიდევ მადლობა ღმერთს, რომ უჩხუბრათ გათავდა ამ დღეს ყოველიფერი და მიცვალებული დამარხეს. საკვირველი ის არის, რომ ამ გარემოებას ყურადღებას არ აქცევს ვისიც ჯერარს და მოწინააღმდეგენი ასე ექცევიან ყოველთვის დამარხვის დროს მიცვალებულის პატრონებს. ნათქვამია ყოველთვის კოკა წყალს არ მოიტანს ერთხელ გულ გახურებულ ჭირისუფალს და მოწინააღმდეგეთა შორის ვინ იცის რა მოხდეს.

ამისათვის საჭიროა ყურადღება მიექცეს ამ დაუსრულებელ ძალმომრეობას და უწესოებას

ბალგელი დიდგულაძე.

*** **საჩხერე.** მეფუტკრეთა ახალი ამხანაგობა. წარსულთ აპრილის 7 შესდგა მეფუტკრეთა ამხანაგობა (წევრთა რიცხვი ჯერ ოცამდეა). ამ დღეს ამხანაგობის კრებამ შეადგინა პატარა წესდება ამხანაგობისა და გადასწყვიტა პაის ფასი 25 მ., რომელიც უნდა შემოტანილ იქმნეს შემდეგ ვადებში: მომავალ ივლისის და მარიამობისთვეში თითო თუმანი და დანარჩენი 5 მან. ენკენისთვეში. ვისაც საერთო ამხანაგად ჩარიცხვა უნდა მიმართოს წერილით ამ ამხანაგობის მოთავეს ყარამან ტარიელის ძე ჩხეიძეს საჩხერეში და მასთან წარადგინოს წერილთან ერთი თუმანი. მოთავე წარუდგენს ამ წერილს ამხანაგობას და უკეთუ უმეტესი მსურველი მიღებულ იქმნება წევრად ამხანაგობისა, მოთავე მაშინვე აცნობებს მას, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში დაუყონებლივ დაუბრუნებს თავის ფულებს.

მეორე კრება ამ ამხანაგობისა დანიშნულია 6 ივნისს 1899 წ საღამოს ექვს საათზე. ამ დღეს უნდა ამორჩეულ იქმნეს ორი მმართველი და ერთი კასირი თავისი კანდიდატებით და განხილულ იქმნეს რამოდენიმე კითხვა.

უმორჩილესადა ვსთხოვ ამხანაგობის წევრთ მობრძანდნენ დანიშნულ დროს ჩემ ბინაზე, საჩხერის სოფლის სასწავლებელში.

საჩხერის მეფუტკრეთა ამხანაგობის მოთავე ყ. ჩხეიძე.

# ა. ს. პუშკინი

(მოკლე ბიოგრაფია)

V *)

დიდხანს არ გასტანა პუშკინის სიხარულმა, გამოწვეულმა თავისუფლების მინიჭებით. იგი თავისუფლება ბევრგვარად იყო მაინც შეზღუდული და წრე-შემოვლებული. პუშკინს თვალყურს ადევნებდნენ; ყოველი წამბიჯის გადადგმაზე საყვედურს ეუბნებოდნენ; დაწერილის წაკითხვასაც კი უშლიდნენ მეგობართა და ნაცნობთა შორის და თხოულობდნენ, რომ ყოველი მისი ნაწერი უპირველეს ყოვლისა ხელმწიფეს მისვლოდა. ხან ამასაც, არა სჯერდებოდნენ და თხოულობდნენ, რომ საზოგადო ცენზურამაც უნდა განიხილოს ხოლმე შენი ნაწერებიო. ორი თუ სამი წელიწადი იყო პოეტის პორტფელში მისი დრამა „ბორის გოდუნოვი“. რამდენიმე პიესა დასწერა ამ ხანში და ერთის ნახვასაც ვერ ეღირსა სცენაზე, ისე იყო შევიწროებული. იმის ნებაც კი არ დართეს, თომ გამოჩენილ მაშინ არტისტს კარატიგინს ერთი მისი დაწერილი სცენა წაეკითხა თეატრში. ბენეფისისთვის დაუთმო პუშკინმა ამავე არტისტს „ძუნწი რაინდი“, მაგრამ მაინც ნება არ მისცეს იმის წარმოდგენისა.

ამ გვარმა შევიწროვებამ, საყვედურებმა, კვალში ჩადგომამ სული შეუწუხა პოეტს. პუშკინმა აღარ იცოდა, რა მოექმედნა, აღარ იცოდა, სად წასულიყო, სად შეჰფარებოდა, სად ეპოვა მოსვენება. ასე გატანჯული და გაწამებული ხან აქეთ ეცა, ხან იქით და მაინც მოსვენება ვერსად ვერ იპოვა. ერთ ადგილას ვეღარ ჩერდებოდა, და რომ მიდიოდა სადმე, პატარა ხნის უკან, ახლა სხვაგან მიჰქროდა გამწარებული, გულმოკლული, სულით შეწუხებული. მისი სულის ასეთის მდგომარეობით აიხსნება რომ 1829 წ. არზრუმს წამოვიდ რუს-ოსმალოს ომის დროს, თუმცა ამაზედაც დიდი საყვედურ მიიღო შემდეგ; წამოვიდა და ი ისე იქცეოდა, თითქოს სიკვდილ ეძებს, სიცოცხლე მოსძაგებიაო სწორედ იქ გაჩნდებოდა, საიდა მტრის ტყვია მიდიოდა ზუზუნით. არზრუმში ყოფნამ გამოიწვია მის თხზულება: «Путешествіе въ Эрзерумъ», საცა აწერილია მი მიერ, სხვათა შორის, თერგი, მყინვარი, ტფილისი, ტფილისის აბანოები და სხვ.

საკვირველია, რომ ამ ყოფა პუშკინი მაინც თავს არ ანებებ მწერლობას; პირიქით, თითქ უმეტა სალიტერატურო შრომა ამ ხანში დასწერა უმეტესი ნაწ ლი თავისის ისტორიულის მოთ რობისა Арапъ Петра Великаго ამ წლისავე შემოდგომაზე, ს 13 დღეში, შექმნა პოემა Полтава (ნათარგმნია ქართულად ცალკე წიგნად არის დაბეჭდი ქუთაისში სახელწოდებით „მა პა“). ორი უკანასკნელი თავი გენი ონეგინისა, Домикъ въ Коломнѣ, ძუნწი რაინდი, მოცა

*) იხ. «ცნობ. ფურც». № 833.

და სალიერი, დონ-ჟუანი, მრავალი წვრილი ლექსები და რამდენიმე მოთხრობა პროზად.

არზრუმში წასვლამდე გაიცნო პუშკინმა მოსკოვში ნატალია გონჩაროვის ქალი და თითქმის მაშინვე გადასწყვიტა მისი ცოლად შერთვა. ნატალია შესანიშნავი ლამაზი ქალი იყო, ჯერ ისევ სულ ყმაწვილი. იმის ცოლად შერთვაც დაუსრულებელ საქმედ გადაიქცა პუშკინისათვის, რომელსაც სულითა და გულით შეუყვარდა თვისი მომავალი მეუღლე. ხოლო რაც მაშინ გაჩნდა, ქამიცა და ათასი სხვა დაბრკოლება გადაელობა წინ. ბოლოს როგორც იყო, სძლია პუშკინმა ყოველს დაბრკოლებას და დაიწერა ჯვარი. ახლა პუშკინს საზრუნად გაუხდა სახსარი ცხოვრებისა. აქამდე მარტო ხელი კაცი იყო და, რასაც იღებდა მწერლობით, ჰყოფნიდა, ასე თუ ისე; ახლა მისმა ხარჯმა ერთი-ორად და ერთი სამად იმატა. შეძლება კი არსად იყო. მამული, რომელიც მამამ დაუთმო, ისეთს მდგომარეობაში იყო, ისე იყო აწეწილ-დაწეწილი მისი საქმე, რომ თითქმის არავითარს შემოსავალს არ აძლევდა. ამ დროინდელი მისი მიწერ-მოწერა ამტკიცებს, რამდენად გაუჭირდა საქმე პუშკინს. თუმცა ამ ხანებში კვლავ მიიღო სამსახური და დაენიშნა 5000 მან. ჯამაგირად, მაგრამ ამანაც ვერა უშველა-რა იმის გაჭირებულს მდგომარეობას. დიდი ვალები დაატყდა თავს მაგ. 5000 მანეთს თვით მთავრობა უჭერდა ვალში. გაჭირვებულის მდგომარეობითვე აიხსნება ისიც, რომ პუშკინმა ხელი მოჰკიდა ისეთს სალიტერატურო საქმეებს, რომელიც არ შეეფერებოდა მის ნიჭს, სახელდობრ საისტორიო გამოკვლევის წერას. თუმცა კი ამ შრომამ სარგებლობაც მოუტანა და დააწერინა ერთი საუკეთესო მისი მოთხრობა «Капитанская Дочка». გაჭირვებულმავე მდგომარეობამ აფიქრებინა ყოველთვიურის ჟურნალის დაარსება. თუმცა მრავალის დაბრკოლების შემდეგ მიიღო ნებართვა ჟურნალის ბეჭდვისა, მაგრამ ამან ნივთიერად ვერაფერი შემწეობა მისცა. მდგომარეობა კი მისი ისეთი იყო, რომ მის შესაფერ ცხოვრებისათვის დიდი შეძლება ეჭირვებოდა. პუშკინი ახლა უმაღლესს კარს დაუახლოვდა, ხელმწიფემ კამერ-იუნკრობა უბოძა, მისი ლამაზი ცოლი მუდამ მაღალ საზოგადოებაში ბრწყინავდა და არ აკლდებოდა დიდ ბალებსა და სალამოებს, სადაც მრავალნი დიდის გვარის თავ-ქარიანი ყმაწვილ-კაცნი შესტრფოდნენ და თავს ევლებოდნენ. თვით ქმარი კი ამ დროს მეტად შეწუხებული იყო ხოლმე, არა მარტო ეჭვის მიზეზითა, არამედ იმიტომაც, რომ მის გარშემო ყველანი მხიარულობდნენ, უდარდელსა და უზრუნველ ცხოვრებას ეძლეოდნენ და ის კი იძულებული იყო ხვალინდელის დღისათვის ეზრუნა და უკანასკნელი მამული ჩაეგირავებინა სადმე მოვალეთა გასასტუმრებლად.

გრ. ყიფშიძე

(შემდეგი იქნება)

## სამეურნეო ცნობა

მცენარეთა მეტყველება (ბოტანიკა)
(შემდეგი *)

**მუქ მოწითალო რემონტანტიური ვარდები ოცი.**

| №. | ვარდების სახელები. | წელიწადი მოშენ. | ვინ მოაშენა პირველად | სამშობლო. |
|---|---|---|---|---|
| 1 | პრინც კამილ დე როჰან | 1861 | ევგენ. ვერდიე. | საფრ. |
| 2 | ვანგუტ | 1864 | ლაშარმ | — |
| 3 | სუვენირ დე ვილიამ ვუდ | 1864 | ევგენ. ვერდიე. | — |
| 4 | ჟან ლიაბო | 187[illegible] | ლიაბო | — |
| 5 | იმპერატორ მაროკკსკი | 1858 | გინოაზო | — |
| | მ·ზაესენლ | 1865 | ლიაბო | — |
| 6 | პიერ ნოტტინ. | 1862 | პორტემერ. | — |
| 7 | ქსავიე ოლიობო | 1864 | ლაშარმ | — |
| 8 | აბელ კარრიერ | 1876 | ევგენ. ვერდიე. | — |
| 9 | ევგენია ფიურსტ | 1876 | სუპერტ ნოტინგ | |
| 10 | რეინოლ. ხოლ. | 1873 | ლიქსემ ნოტინგ | — |
| 11 | ბარონ დე ბონსტეტენ | 1872 | გ·პაულ | ინგლ. |
| 12 | სულტან ზან- | | ლიაბო | საფრ. |
| | ზიბარსკი | 1876 | ვ·პაული-სინ | ინგლ. |
| 13 | ჟან სუპერტ | 1875 | ლაშარმ | საფრ. |
| 14 | ლაროზიერ | 1874 | დამეზენ | საფრ. |
| 15 | ალზას-ლორრენ | 1880 | გ·დიუვან | — |
| 16 17 | ფიშერ გოლმეს | 18.5 | ევგენ. ვერდიე. | — |
| 18 | შარლ ლეფევრ | 1862 | ლაშარმ | — |
| 19 | დირექტორ ალფანდ | 1883 | ლევე | — |
| 20 | დიუკ დეკაზ | 1861 | ტუვე | — |

არჩილ დარეჯანაშვილი

(შემდეგი იქნება)

## ყურმოკრული საუბარი

ერთი მოგზაური ავად გახდა სასტუმროში. კაცი გაგზავნა მკურნალის მოსაყვანად. სწორედ ამ დროს, როცა ის მარტოდ-მარტო იყო და იწვა ლოგინში მკურნალის მომლოდინე, კარი შეაღო ერთმა უცნობმა კაცმა და შესვლისთანავე შესდგა.

— თქვენ მკურნალი ხართ? ჰკითხა ავადმყოფმა.

— დიახ, რა შეგემთხვათ?

— უცებ ძლიერ ავად გავხდი.

— შეგიძლიანთ ადგომა? არა!

— როგორ, მაშ არც წამოდგომა შეგიძლიანთ?

— რასა ბრძანებთ, თავსაც ვერ ავიწევი მაღლა, არამც თუ წამოვდგე.

— მე თქვენი ავადმყოფობა ჩემთვის სასიამოვნო გახლავსთ, — უთხრა უცნობმა, აიღო სტოლიდან ოქროს საათი სხვა ნივთებიც და წასვლის დროს დაუმატა:

— მე წავალ და ახლა კი მკურნალი მოვა.

*) იხ. «ცნ. ფურც.» № 833.

# დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»).

1 ივნისი

**ჰელსინგფორსი** ადგილობრივი გაზეთები იუწყებიან, რომ მისმა იმპერატორებითმა უდიდებულესობამ კეთილ-ინება და ფინლიანდიის სენატის 1896 წლის ანგარიშიდგან იხილა, რომ ამ განაპირა ქვეყნის მკვიდრთა 34% სრულიად არ არის უზრუნველ ყოფილი ადგილ-მამულით. თანაგრძნობით მიეგება რა ასეთს მდგომარეობას უმიწა-ადგილობისას, ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად ჰბრძანა გადაიდოს ორი მილიონი ფრანკი და თანხა შესდგეს მათთვის ადგილ-მამულის მოსაპოებლად. ამ ფულის დასახარჯ განსაკუთრებულ წესების შესამუშავებლად სენატს წინადადება მიეცა ცალკე კომისიის დაწესებისა. ეს უმაღლესი წყალობა უადგილ-მამულოთა გულში აღძრავს გრძნობას განუსაზღვრელ სიყვარულისას და რუსეთის თვით მპყრობელის მიმართ დიდის მადლობისას.

**პარიზი.** პალატა სოციალისტთა ზოგიერთი დეპუტატები უჩივიან პოლიციელთა უმართებულო ქცევას. წარდგენილ იქმნა სამი წინადადება ჩვეულებრივ საქმეების განსახილველად გარდასვლისა, სხვათა შორის, წინადადება სომადიისა, რომელშიაც მოწონებულია განცხადება მთავრობისა. ზოგიერთი დეპუტატები ამბობენ, პირდაპირ შევუდგეთ საქმეთა განხილვასაო, მაგრამ დიუპუი უარჰყოფს ამას და უერთდება სომადის წინადადებას. (დიდი მღელვარებაა). პირდაპირ გადასვლა საქმეების განსახილველად უარ-ყოფილ იქმნა 326 ხმით 219 წინააღმდეგ. პალატამ უარ-ჰყო შემდეგ 376 ხმით 109 წინააღმდეგ პირველობა ვალიანის წინადადებისა, რომელშიაც ნათქვამია, რომ ვულოცავთ პარიზის მკვიდრთა გუშინდელ მშვენიერ მანიფესტაციას და ვუსაყვედურებთ პოლიციასაო. დიუპუი აცხადებს, რომ ვერ შევიწყნარებ დიულოს წინადადებასაც, რომელიც ასეა შედგენილი: „პალატა არ უერთდება რა პოლიციის გამკიცხველთ“ და სხ. დიულოს წინადადება უარ-ყოფილ იქმნა (346—158). (დიდი მოძრაობაა). სამი წინადადება წარადგინეს რიუომ, რანბერტომ და ბრენმა. დიუპუიმ უარ-ჰყო სამივე და განაცხადა, რომ სამოდის წინადადებას უერთდებიო. პალატა შეუდგა ხმის შევსებას რიუოს წინადადების პირველობის შესახებ, რომელიც ასეა შემდგარი: პალატას განზრახვა აქვს, რომ მხარი დაუჭიროს მხოლოდ ისეთს მთავრობას, რომელიც მტკიცედ იცავს რესპუბლიკის დაწესებულებათ და უზრუნველ ჰყოფს საზოგადოებრივს წეს-რიგს, - შეუდგება მორიგ საქმეთა განხილვას. რიუოს წინადადების პირველობა შეწყნარებულ იქმნა (366—177). დიუპუი კვლავ აცხადებს, რომ მივიღებთ მხოლოდ სომადის წინადადებასო. რიუოს წინადადება შეწყნარებულ იქმნა 321 ხმის უმეტესობით 178 ხმის წინააღმდეგ. მინისტრები გავიდნენ დარბაზიდგან. სოციალისტები ჰყვირიან: „გაუმარჯოს რესპუბლიკას!“ სხდომა შესწყდა. შემდეგი კრება ორშაბათისათვის არის დანიშნული.

**პარიზი.** სხდომის შემდეგ 5½ საათზედ, დიუპუი თავისის ამხანაგებითურთ წავიდა ელისეს სასახლეში, რათა რესპუბლიკის პრეზიდენტს ერთობილი თხოვნა გარდასცეს სამსახურიდგან გადადგომისა. პრეზიდენტმა შეიწყნარა კაბინეტის სამსახურიდგან გადადგომა და სთხოვა მინისტრებს დარჩენილიყვნენ თავ-თავის ადგილებზედ მათ მოადგილეთა დანიშვნამდე.

მინისტრთა ელისეის სასახლეში ყოფნამ 5 წუთს გასტანა. ბურბონის სასახლის დერეფნებში პალატის კენჭის ყრამ დიდად იმოქმედა, იმიტომ რომ სხდომის დასაწყისს არავინ მოელოდდა კაბინეტის დაცემას. სოციალისტები დიდს სიამოვნებას გამოსთქვამენ.

ლუბემ დიდი მადლობა გარდაუხადა გადამდგარ მინისტრებს ხელის შეწყობისათვის და უთხრა, რომ სიამოვნებით გაგიხსენებთ თქვენცა და თქვენს სამსახურსაცაო. ლუბესთან მოლაპარაკებამ დიდად სასიამოვნოდ იმოქმედა დიუპუისა და მისს ამხანაგებზედ. უკვე ასახელებენ სამინისტრ-პრეზიდენტო კანდიდატებს, სხვათა შორის, პუანკარეს, ვალდეკ-რუსსოს, დელკასსეს, კრანცს, დელომბრას, გილენს, აგრეთვე ბრისონს, ლანნესანს, დუმერგს და სხ. ლუბე ხვალ მოიხმობს სენატისა და პალატის პრეზიდენტებს, რათა თათბირი იქონიოს პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ.

დღევანდელ რამდენსამე კენჭის ყრას ემჩნევა, რომ უმეტესად ცოტ-ცოტა ყველა დასს მიუღია მონაწილეობა. აშკარაა, უმეტესობა იმ აზრით ჰხელძღვნელობდა, რომ დიუპუი მოეშორებინათ. ვალიანის მიერ შეკითხვა საბაბი იყო, რომ კრიზისის ჰეშმარიტი მიზეზი დაეფარათ. სოციალისტები და სოციალრადიკალები უსაყვედურებენ კაბინეტს დრეიფუსის საქმეში წინაუკმო ყოფა-საქციელს. რაც შეეხება ზომიერთ, იმათ მელინის დაბრუნების იმედი აქვთ.

დეპუტატთა სახლში, ლოძ მბრეს სალამოზედ მრავალმა დეპუტატმა განუცხადა, რომ დრეიფუსის საქმის გარდაწყვეტას დიდი ადგილი ეჭირა დიუპუის კაბინეტის დაცემის საქმეშიო, სოციალისტები და მრავალნი რადიკალნი თხოულობენ, რომ დანაშაული გარდახდეთ გენერლებს ბუადერფსა და მერსიემდე ყველას. იმ აზრისანი არიან, რომ დიუპუი აქამდე არ მიიდოდა, ამიტომ ისარგებლეს ვალიანის შეკითხვითა და პოლიციის მოქმედებით და კაბინეტს თავისი უნდობლობა გამოუცხადესო.

**პარიზი.** ხმა გავრცელდა, ვითომ ნიცაში დაეპატიმრებინოთ ჰერცოგი ორლეანისა, მაგრამ ეს ხმა ოფიციალურად უარ-ყოფილია. ნიცაში დაპატიმრებულ იქმნა იტალიის გენერალი ჯალიეტტა გუშინ, იტალიის საზღვარს ახლოს, იმ დროს, როდესაც ჰსინჯავდა საფრანგეთის საგერ სიმაგრეებს. უპოვნეს საფრანგეთის სხვადა-სხვა გეგმანი. ამ გენერალს რამდენიმე ხანია თვალ-ყურს ადევნებდნენ. იგი დაბეჯითებით ამბობს, რომ საჯაშუშოდ კი არ დავდიოდი, ისე ვმოგზაურობდიო. მისის სიტყვით, გეგმებს, რომლებიც უპოვნეს, არავითარი საიდუმლო ხასიათი არა აქვსო.

**პარიზი.** ყველა გაზეთები სასტიკად ჰკიცხავენ დიუპუის, ამტკიცებენ რა, რომ უსწორ-მასწორო პოლიტიკის წყალობით იმას უნდოდა არც მწვადი დამწვარიყო და არც შამფური. ის ყველა დასს ჰლალატობდა, ყველა გადაემტერავო. ყველანი თანახმანი არიან, რომ ლონშანში მომხდარი შემთხვევა დიუპუის ფეხს წააკვრევინებსო. სოციალისტები თავისს თავს აწერენ ამ საქმეს. რადიკალთა და რესპუბლიკელთა გაზეთების უმეტესობა ამტკიცებს, რომ კრიზისი დიდ ხანს არ გასტანსო. კონსერვატორები ჰფიქრობენ, რომ კრიზისი დიდხანს გასტანს და ლუბეს საქმე გაუჭირდება, თუ წინდაწინვე არ აღნიშნა სამინისტრო კაცებიო. ზოგიერთი გაზეთები მინისტრ-პრეზიდენტად ასახელებენ: კონსტანს, რუვიეს, პუანკარეს ვალდეკ-რუსოს და ბურჟუას. სხვები ასახელებენ კიდევ ბრისონს, სარიენს, ტრარიეს. „Matin“-ი გვარწმუნებს, რომ დელკასე ისევ დარჩება გარეშე საქმეთა მინისტრადო.

Echo be Paris“-ში ბორეპერი აცხადებს, რომ ჩქარა აღმოჩნდება დრეიფუსის დანაშაულობის დამამტკიცებელი საბუთები და იმათ გამოვაცხადებ „Echo be Paris“-შიო.

**პარიზი.** კრისტიანის მიუსაჯა სასამართლომ 4 წლით ციხეში ჯდომა.

**პარიზი.** სენატისა და პალატის პრეზიდენტებთან ლაპარაკის დროს დილით, ლუბემ სურვილი განაცხადა, რომ ჩქარა დასრულდეს კრიზისიო. ჰფიქრობენ, რომ პრეზიდენტი დღესვე მიიწვევს პუანკარეს; რათა კაბინეტის შედგენა მიანდოს მას.

# განცხადებანი


გაზეთ „კავკასის“ კანტორაში
ისყიდება
რუსული ახალი წიგნი
**ნორ-ქალაქ**
(ბინოკლისა)
წერილები უნებურად ორ-ცოლიანისა და საზოგადოდ გაუფრთხილებელის კაცისა.
**ფასი 1 მან.**, გავზავნით ფოსტით 1 მ. 25 კაპ. წიგნების გამყიდველებს დაეთმობათ 25%.
ამ გამოცემის წმინდა შემოსავალი დანიშნულია გადმოსახლებულთა სასადილოსათვის ტფილისში.
(20—16)

იყიდება
„ცნობის ფურცლის“ რედაქციაში
იაფ-ფასიანი
სახალხო გამოცემანი:
თავ. ილია ჭავჭავაძე . 2 „
ალექსანდრე ყაზბეგისა 2 „
სპარსეთის მეფე და ქართველი ტყვე . . . . 2 „
პატარა ბიბლიოთეკა . . 2 „
ვინც ას ცალს გამოიწერს, მანეთზე დაეთმობა ორი აბაზი.
მსურველნი მიჰმართავენ („ცნობის ფურცლის“ რედაქციას. 30—28)

გამოვიდა და ისყიდება ცნობილის და საფრანგეთის საყვარელ პოეტის ბერანჟეს თხზულება.
**„ბერანჟე“**
ქართულად
გ. გვაზავას თარგმანი.
**ფასი 40 კაპ.**
წიგნი მოზრდილია, სუფთაა და ლამაზად არის გამოცემული; შეიცავს 40 საუკეთესო ლექსს და ავტორის სურათს.
ვინც ერთბაშად 10 ცალს გამოიწერს, 20% დაეთმობა „ცნობ. ფურც.“ ხელის მომწერთ წიგნი გაეგზავნება ორიაბაზის ფოსტის ეკრკით. (10—10)

**გ. ბუნიას სტამბა**
ბეჭდავს ყოველ გვარ სასტამბო საქმეს, სადარბაზო ბარათებს და სხვა.
ფასი ყველასათვის ხელ-მისაწდომია.

**КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,**
состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:
1) Бухгалтеріи двойной итальянской по разнымъ отраслямъ торговой промышленности,
2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи),
3) **Ариѳметики на счетахъ.**
4) **Коммерческой экономіи,**
5) **Торговыхъ и вексельныхъ узаконеній.**
преподаетъ **И. Я. БРОНЪ-ФОНЪ-БРЕННЕРЪ, препод. тифлисскихъ учебныхъ заведеній**
Плата за весь курсъ 60 руб.
**Курсъ 3-мѣсячный**, при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе 2-хъ часовъ, по вечерамъ. Начало занятій— 1-е число каждаго мѣсяца.
**За успѣшныя занятія лучшія аттестаціи отъ учебнаго начальства.**
Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бреннеръ книга «Коммерческая ариѳметика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счетахъ 2) монетныя вычисленія, 3) товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) торговыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (520 задачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ и у автора: Михайловская ул., № 71.** (100—28)

Годъ 3-й. | десять рублей. | Годъ 3-й.

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА **1899 Г.**
**на ежедневную**
ПОЛИТИЧЕСКУЮ И ЛИТЕРАТУРНУЮ ГАЗЕТУ
**„НАРОДЪ“**
**(третій годъ изданія)**
Подписная цѣна газеты понижена до **десяти** рублей въ годъ съ пересылкою и доставкою повсемѣстно въ Россіи.
Газета посвящаетъ себя разработкѣ вопросовъ государственной, общественной и хозяйственной жизни русскаго народа.
Въ газетѣ между прочимъ сводится много мѣста вопросамъ желѣзнодорожнаго дѣла въ Россіи, вопросамъ церковнымъ, вопросамъ военнымъ и вопросамъ, касающимся жизни провинціи.
Сообщеніямъ изъ провинціи широко раскрыты страницы газеты, такъ какъ она сознаетъ важную роль, какую все болѣе и болѣе занимаетъ провинція въ жизни Русскаго Государства. Всякое сообщеніе, идущее отъ мѣстныхъ лицъ, касающееся жизни городовъ земствъ, вопросовъ сельско-хозяйственныхъ, торгово-промышленныхъ и т. п., съ благодарностью принимается газетою, если оно проникнуто духомъ общей пользы, а не личныхъ счетовъ. Для болѣе яркаго освѣщенія провинціальной жизни въ газетѣ существуетъ особый отдѣлъ подъ заглавіемъ „Провинціальный фельетонъ“, въ которомъ свѣдѣнія, полученныя отъ корреспондентовъ и почерпнутыя изъ провинціальныхъ газетъ, разрабатываются сотрудниками, близко знакомыми съ провинціальной жизнью и спеціально для этой работы приглашенными.

*ПОДПИСНАЯ ПЛАТА.*

| | На 1 годъ. | На 6 мѣс. | На 3 мѣс. | На 1 мѣс. |
|---|---|---|---|---|
| **Въ Россіи,** повсемѣстно, съ перес. и доставкой . . . | 10 р. | 5 р.—к | 2 р. 50 к. | 1 р.—к. |
| **За Границею,** въ государ. почтоваго союза . . . | 14 » | 7 » 50 » | 3 » 75 » | 1 » 50 » |

**подписка принимается:**
Въ С.-ПЕТЕРБУРГѢ: въ Главной Конторѣ газеты, Б. Морская, 36.
МОСКВѢ: въ конторѣ биржевого маклера И. Ю. Шульца (старый гостиный дворъ) въ главномъ газетномъ агентствѣ К. Н. Александровой (на Тверской), а также въ Главномъ Агентствѣ А. Ф. Сенъ-Мартенъ (Неглинный проѣздъ Противъ Гос. Банка.
Гг. провинціальные подписчики благоволятъ обращаться въ Главную Контору газеты въ С.-Петербургѣ.
Редакторъ **Н. Я. Стечькинъ.** Издатель **А. П. Мальшинскій.** (8—8)

Годъ 3-й. | десять рублей. | Годъ 3-й.

десять рублей.

десять рублей.


Дозволено цензурою. Тифлисъ 3 Юня 1899 г. სტ. „ცნ. ფურც.“) გ. ბუნიასი), რედაქტორ-გამომცემელი ზ. ჭ